ბრალის ინსტიტუტი – შეფასება კანონიკური და საეკლესიო სამართლის პერსპექტივიდან

კოსმინ-იონუც ტიუდორი
ბუქარესტის უნივერსიტეტის დოქტორანტი
ORCID: https://orcid.org/0009-0003-3577-9886

აბსტრაქტი. ბრალის ინსტიტუტი წარმოადგენს ფუნდამენტურ კონცეფციას სამართლის სფეროში და არის ერთ-ერთი იმ არსებითი ელემენტთაგანი, რომელიც სამართლებრივ პასუხისმგებლობას განაპირობებს. თავისი არსით, ბრალი ასახავს პირის ფსიქიკურ ან მორალურ დამოკიდებულებას ჩადენილი ქმედებისა და მისი შედეგების მიმართ. ბრალის დადგენას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაკისრებლად.

ბრალი, როგორც ინდივიდუალური პასუხისმგებლობის განმსაზღვრელი ელემენტი, ასევე აქტუალური კონცეფციაა კანონიკურ თეოლოგიასა და, შესაბამისად, საეკლესიო კანონმდებლობაში. მიუხედავად იმისა, რომ პარადიგმული განსხვავებები მნიშვნელოვანია -ვინაიდან საეკლესიო სამართალს არსებითად სულიერი და მორალური განზომილება გააჩნია - ბრალის იდენტიფიცირება, დეფინიცია და სანქცირება მაინც ფუნდამენტურ საზრუნავად რჩება საეკლესიო ცხოვრების ორგანიზებისა და დისციპლინისთვის.

საკვანძო სიტყვები: ბრალი, ინსტიტუტი, კანონიკური თეოლოგია, საეკლესიო სამართალი, კანონები, ცოდვა, ადამიანის ერთობა (ზიარება) ღმერთთან.